

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე “სახელმწიფო ბაჟის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განაპირობა “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის მომზადებამ, რომლის შესაბამისადაც, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეულ ყველა მომსახურებაზე გადახდილი უნდა იქნეს მომსახურების საფასური, ნაცვლად სახელმწიფო ბაჟისა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია “სახელმწიფო ბაჟის შესახებ” საქართველოს კანონის “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” კანონპროექტით წარმოდგენილ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეულ მომსახურებაზე “სახელმწიფო ბაჟის შესახებ” მოქმედი კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟი უქმდება. შედეგად, შესაბამისი ცვლილებები შედის კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტსა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტში, ხოლო კანონიდან ამოიღებულია მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

2008 წლის მონაცემების შესაბამისად, სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი იქნა 11 240 000 ლარი, შესაბამისად, ამ კანონპროექტისა და “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” კანონპროექტის ამოქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს გამოაკლდება დაახლოებით 11 000 000 ლარი. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ გამოეყოფა 8 155 000 ლარი და ბაჟის ნაცვლად სააგენტოსთვის საფასურის სახით გადახდილი თანხიდან (იგივე 11 000 000 ლარიდან) გადახდილი იქნება გადასახადები, კანონპროექტის რეალური გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე არ აღემატება 1 – 1,5 მილიონ ლარს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

2009 წელს, ისევე, როგორც 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გამოეყო 8 155 000 ლარი. კანონპროექტის მიღების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდება სააგენტო. 2010 წლიდან სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება საბიუჯეტო განაცხადის პროექტის თანახმად განისაზღვრება მხოლოდ 1000 (ერთი ათასი) ლარით, .

ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ფინანსურ გავლენას არ მოახდენს იმ პირობების ვის მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არაინ საქართველოს პარლამენტის წევრები – ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.